სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/233

ქ. თბილისი 21 აგვისტო 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და 2019 წლის 21 აგვისტოს №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და დაემატოს შემდეგი რედაქციის 5^1 მუხლი:

„5^1. მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა

5^1.1. სწავლების დეპარტამენტის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი, ემერიტუსი, აგრეთვე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მაგისტრატურის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მიზნით, აკადემიურ დეპარტამენტში წერილობით წარადგენს ვაკანტური

ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნას, სათანადო რაოდენობის სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის სავარაუდო დასახელებისა და მისი აქტუალურობის მითითებით.

5^1.2. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტში განხილვისა და კორექტირების საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მოთხოვნას, სამაგისტრო პროგრამების მიხედვით, ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ, აგრეთვე სავარაუდო ხელმძღვანელებისა და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების სავარაუდო დასახელების მითითებით.

5^1.3. ფაკულტეტის დეკანი აკადემიური დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დეკანი სწავლების დეპარტამენტში წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს ოქმსა და მოხსენებით ბარათს მისაღებ კონტინგენტში შესაბამისი ვაკანტური ადგილების გათვალისწინების თხოვნით.

5^1.4. აკადემიური საბჭოს მიერ მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შემდეგ დეკანი უზრუნველყოფს თემების სავარაუდო დასახელებისა და ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციის (სახელი, გვარი, თანამდებობა, კვლევის მიმართულება) განთავსებას ფაკულტეტის ვებგვერდზე."

II. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-7 მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„7.2^1. ახლად ჩარიცხული მაგისტრანტებისათვის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის გაადვილების მიზნით დეპარტამენტის უფროსი ორგანიზებას გაუკეთებს მაგისტრანტებისა და სავარაუდო ხელმძღვანელების შეხვედრას. ხელმძღვანელები წარმოადგენენ სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების სავარაუდო დასახელებასა და მათ აქტუალურობას, აგრეთვე საკუთარი კვლევის მიმართულებებს. მაგისტრანტს აქვს უფლება, განაცხადოს მისთვის საინტერესო თემატიკის შესახებ. შეხვედრის საფუძველზე მაგისტრანტები აკეთებენ არჩევანს და შესაბამისი განცხადებით მიმართავენ აკადემიური დეპარტამენტის უფროსს. მაგისტრანტს უფლება აქვს აგრეთვე ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული ნუსხიდან შეარჩიოს თემა და ხელმძღვანელი, ასევე აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის გარეშე თავისი არჩევანის შესახებ განცხადებით მიმართოს აკადემიური დეპარტამენტის უფროსს.

7.2^2. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის სხდომაზე განხილვის საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მაგისტრანტების სიას ხელმძღვანელების კანდიდატურებისა და თემების დასახელების მითითებით (სათანადო მოხსენებით ბარათსა და დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად)".

III. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და მე-7 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.4. ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების ცვლილება შეიძლება მოხდეს მაგისტრანტის ან/და ხელძღვანელის წერილობითი განცხადების საფუძველზე. დეკანატში განცხადების წარდგენა შეიძლება დამამთავრებელი სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, ხოლო სხვა სემესტრებში – ნებისმიერ დროს. აღნიშნული განცხადების/განცხადებების და აკადემიური დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე ცვლილებას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რაზეც უნდა გამოვიდეს დეკანის ბრძანება.

7.7. მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, უნდა წარადგინოს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის წერილობითი დასკვნები. უნივერსიტეტს/ფაკულტეტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომი შეამოწმოს პლაგიატის არსებობაზე.“

IV. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**